

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

ფაკულტეტი	ფარმაცია
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	სადოქტორო პროგრამა “ფარმაცია”
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი	ფარმაციის აკადემიური დოქტორი
პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი ალიოშა ბაკურიძე
პროგრამის მოცულობა	3 წელი
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის მიზნები	<p>პროგრამის მიზანია, მოამზადოს დამოუკიდებელი, კონკურენტუნარიანი აკადემიური კადრი/მკვლევარები უნივერსიტეტებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებებისათვის, რომელთაც ფარმაციასა და მის დეტალურ ქვესფეროებში ექნებათ უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა, რომელიც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა;</p> <p>კურსდამთავრებულს გამოუმუშავოს უნარი: აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვით ფარმაციაში კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და განხორციელების; ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული კვლევის და ანალიზის მეთოდებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზის, შეფასებისა და შემუშავების; პრობლემის გადაჭრისათვის სწორი და ეფექტური გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების;</p> <p>კურსდამთავრებული აღჭურვოს პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით, ფარმაციაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული კვლევითი პროექტების, სამეცნიერო ფორუმების მომზადების, ხელმძღვანელობისა და განხორციელებისათვის.</p>
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/-ები	<p>პროგრამაზე მიღება ხორციელდება სპეციალობაში (სადოქტორო კვლევის სფეროს შესაბამისად – ფარმაცოგნოზია, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმია, ფარმაცევტული ტექნოლოგია, სოციალური და კლინიკური ფარმაცია, სხვ.) და ინგლისურ ენაში გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემდეგ. პროგრამაზე მოსახვედრად სავალდებულოა დოქტორანტობის კანდიდატი ფლობდეს ინგლისურ ენას B2 დონეზე. დოქტორანტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მაგისტრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ფარმაციაში.</p>
სწავლების მეთოდები	<p>სწავლების მეთოდები შეესაბამება დოქტორანტის მომზადების თანამედროვე მეთოდოლოგიურ, მათ შორის - სპეციფიკურ მოთხოვნებს. პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტ - სატრანსფერო სისტემის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამით</p>

	<p>გათვალისწინებული შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს აკადემიური აქტივობის ცალკეული მეთოდი და ამ მეთოდთა ერთობლიობა, სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტის უშუალოდ დოქტორანტის მიერ შესრულების ჩათვლით. სადოქტორო პროგრამის შემადგენელი კვლევითი კომპონენტი და სასწავლო კურსები ეფუძნება თანამედროვე სამეცნიერო ცოდნას, რაც გულისხმობს დარგში დაგროვილი და უახლესი, მტკიცებულებებზე დამყარებული ცოდნისა და მეთოდოლოგიის სრულ და ადეკვატურ ჩართვას სასწავლო პროცესში, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლება დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებულ მეთოდებზე, რაც, გარდა საკუთრივ კვლევითი მუშაობისა, სადოქტორო კვლევის სფეროს შესაბამისად, ნიშნავს დოქტორანტის აქტიურ ჩართვას სასწავლო პროცესში, მოიცავს/შეიძლება მოიცავდეს შემთხვევაზე (CBL) და პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), თანამშრომლობით სწავლებას (Cooperative), შემთხვევის ანალიზს (Case Study), როლურ და სიტუაციურ თამაშებს, დემონსტრირების მეთოდებს, პრაქტიკულ მეთოდებს, დისკუსია-დებატებს, ჯგუფურ (Collaborative) მუშაობას, ინდუქციას, დედუქციას, ანალიზს და სინთეზს, ახსნა-განმარტებით მეთოდს, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლებას, ელექტრონულ (E-Learning) სწავლებას და სხვ. დოქტორანტი არის კვლევითი კომპონენტის უშუალო შემსრულებელი.</p>
<p>სტუდენტის მიღწევების შეფასების სისტემა</p>	<p>დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა სადოქტორო პროგრამის კვლევითი კომპონენტის შესრულების შუალედური შეფასების ფორმა დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციაა (ანგარიშგება) დეპარტამენტის/-ების წინაშე. კვლევის საბოლოო, დასკვნითი შეფასება ხორციელდება დისერტაციის საჯარო დაცვით (დოქტორის ხარისხის მინიჭება/არ მინიჭება) და რეგულირდება ფარმაციის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულებით (#24/5, 05.2012 წ.) სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით ფარმაციის ფაკულტეტზე. დოქტორანტის ყოველწლიური ატესტაციის ფორმატი მისი ანგარიშია საბაზო დეპარტამენტის/-ების წინაშე საანგარიშო პერიოდში ჩატარებული სამუშაოს შესახებ. ატესტაციის კრიტერიუმები დოქტორანტს ეცნობება სწავლის დაწყებისთანავე. კრიტერიუმები შემდეგია:</p> <ul style="list-style-type: none"> ➤ შესრულებული სასწავლო კომპონენტის/კრედიტების შესაბამისობა დოქტორანტის გეგმარუკასთან: • რუკით გათვალისწინებული სასწავლო კურსი/-ები, • წარმატებით ათვისებული სასწავლო კურსი/-ები; ➤ შესრულებული კვლევითი აქტივობის შესაბამისობა

დოქტორანტის გეგმა – რუკასთან:

- დაგეგმილი კვლევითი აქტივობა,
- ჩატარებული კვლევები/დაკვირვებები,
- სამეცნიერო პუბლიკაცია/-ები.

➤ ინდივიდური სადოქტორო კვლევის გეგმის/თემის ხელმძღვანელის შეფასება დოქტორანტის მუშაობის შესახებ. საბაზო დეპარტამენტის/-ების სხდომაზე დოქტორანტის მუშაობის ანგარიშის განხილვის შესაბამისად დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო შეიძლება შეფასდეს, როგორც „საკმარისი“/“არასაკმარისი“/“სრულიად არასაკმარისი“.

დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „საკმარისად“ შეფასების შემთხვევაში მას ეძლევა რეკომენდაცია მუშაობის გაგრძელებისათვის მისი გეგმა-ბარათის შესაბამისად. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა რეკომენდაცია:

- გეგმა-ბარათში და/ან ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის გეგმაში ცვლილებების შესახებ, ან

- სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ, თუ სტატუსის აღდგენის შემდგომ დოქტორანტურის დასრულებამდე დარჩენილ პერიოდში შესაძლებელია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება. დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაოს „სრულიად არასაკმარისად“ შეფასების შემთხვევაში, დოქტორანტის მუშაობის შემაფერხებელ გარემოებათა კომპლექსური ანალიზის, ასევე, დოქტორანტისა და მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის განმარტებების გათვალისწინებით გაიცემა რეკომენდაცია დოქტორანტისათვის სტუდენტის სტატუსის შეჩერების/სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

პროგრამის **სასწავლო კომპონენტთან** მიმართებაში მოქმედებს კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა(ECTS). საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება და სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (#3, 5.01.2007) შესაბამისად. კონკრეტულ სასწავლო კურსში/დისციპლინაში სტუდენტის მიღწევები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით და სტუდენტისთვის/დოქტორანტის ცნობილია სწავლის დაწყებისთანავე. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტის შემადგენელი თითოეული სასწავლო კურსის შესწავლისას დოქტორანტის მიერ გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ შემადგენელ

ელემენტს - შუალედურ და საბოლოო გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში;

- შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად (აკადემიური აქტივობა, პრაქტიკული უნარები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, შუალედური გამოცდები და სხვ.), რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში;

- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება; კომპონენტების შინაარსსა და ხვედრით წილს განსაზღვრავს სასწავლო კურსის ხელმძღვანელი;

- შუალედურ შეფასებებში დოქტორანტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 60 ქულა. საბოლოო გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაში მისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 40 ქულაა. დოქტორანტის საგამოცდო შეფასება დადებითია, თუ მის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა ტოლია ან აღემატება ოც ქულას (მაქსიმალური საგამოცდო შეფასების 50%) ან ოცდაოთხ ქულას (მაქსიმალური საგამოცდო შეფასების 60%) (სასწავლო კურსის/მოდულის სილაბუსის შესაბამისად).

- საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მინიმალური დადებითი შეფასების/ქულის გათვალისწინებით შეიძლება დაუგროვდეს 51 ქულა.

- შუალედური შეფასების ცალკეული მეთოდის/ნაწილის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსის/მოდულის) სილაბუსით და არ უნდა აღემატებოდეს შუალედური შეფასების ამ მეთოდის/ნაწილის 50%-ს.

- სასწავლო კურსის/მოდულის შუალედური შეფასების ცალკეული მეთოდის/ნაწილის მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არის დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა.

- დასკვნითი შეფასების მეთოდის/ნაწილის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსის/მოდულის/სხვ.) სილაბუსით და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების ამ კომპონენტის 50%-ს.

- დოქტორანტის ცოდნის შეფასების პრინციპები და კრიტერიუმები ტრანსპარანტულია და ცნობილია აკადემიურ

	<p>პროცესში ჩართული ყველა სუბიექტისათვის. ისინი შეესაბამება დოქტორანტის მიერ არა მარტო თეორიული ცოდნის, არამედ პრაქტიკული უნარების ათვისების ხარისხის ობიექტური შეფასების ინტერესს. ცოდნისა და უნარების შეფასებისას გამოყენებულია როგორც ზეპირი, ასევე ტესტური და კომბინირებული გამოცდები, პრეზენტაციები, რეფერატი/თეზისი.</p>
<p>სწავლის შედეგები</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება</p> <p>პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შეესატყვისება დამოუკიდებელი მკვლევარისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს, ასევე, მიღებული კომპეტენციის ფარგლებში დასაქმების შესაძლებლობას.</p> <p>კურსდამთავრებულმა იცის:</p> <ul style="list-style-type: none"> • მცენარეული, ცხოველური და მინერალური ნედლეულის კვლევის, გადამუშავების, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფის, სტრუქტურის დადგენის, სტანდარტიზაციისა და ხარისხის უზრუნველყოფის ინოვაციური მეთოდები; • ტრადიციული და ახალი თაობის წამალთფორმების დიზაინის, რეცეპტურის, ტექნოლოგიის შემუშავების, სტანდარტიზაციის და კვლევის ინოვაციური ბიოფარმაცევტული, ტექნოლოგიური, ფარმაკოკინეტიკური ანალიზის ინსტრუმენტული მეთოდები და სამედიცინო ბიოლოგიური ასპექტები; • ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური კვლევის თანამედროვე, სპეციფიკური, მაღალეფექტური მეთოდები; კურსდამთავრებული აცნობიერებს ფარმაციაში უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნის აუცილებლობას, რომელიც არსებული ცოდნის კრიტიკული გააზრებით, გაფართოებით, ინოვაციური მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით მიიღწევა. <p>უნარი:</p> <p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად, კვლევის დაგეგმვა და განხორციელება ფარმაციასა და მის დეტალურ ქვესფეროებში; ახალი კვლევისა და ანალიზის მეთოდების ან/და ტექნოლოგიების, შემუშავება, რომელიც ახალი ცოდნის შექმნაზეა ორიენტირებული; • ბუნებრივი სამკურნალო რესურსების კვლევა, რაციონალური გადამუშავება, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების გამოყოფა, იდენტიფიკაცია, სტანდარტიზაცია და ხარისხის უზრუნველყოფა ინოვაციური ან ახალი მეთოდებითა და ხერხებით; • ტრადიციული წამალთფორმების უარყოფითი მხარეების

	<p>კრიტიკული ანალიზი, შეფასება და სრულყოფა, ახალი თაობის წამალთფორმების შემუშავება და კვლევა ინოვაციური ან ახალი ტექნოლოგიების, ხერხებისა და მეთოდების გამოყენებით;</p> <p>• პარამეტრების ინტერფერენციის პროგნოზირება პოლიპრაგმაზიის დროს; წამლის კლინიკურ კვლევებში და რაციონალურ ფარმაცოთერაპიაში მონაწილეობა; • კვლევის შედეგების დასაბუთებულად და გარკვევით წარმოჩენა და გადაცემა კოლეგებისა და ფართო საზოგადოებისათვის.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p> <p>• შეუძლია დამოუკიდებლად, უახლეს მიღწევებზე ან საკუთარ ინოვაციურ კვლევებზე დამყარებული საგრანტო და სხვა სამეცნიერო პროექტების მომზადება და წარდგენა, აგრეთვე, სხვადასხვა მასშტაბის სამეცნიერო ფორუმების ორგანიზება.</p>
<p>კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები</p>	<p>ფარმაციის აკადემიური დოქტორები შესაძლოა დასაქმდნენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაციის ფაკულტეტის პროფილურ დეპარტამენტებში და ფარმაციის მიმართულების სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში, პრაქტიკულ ფარმაციაში.</p>

სასწავლო კომპონენტის სტრუქტურა

N	კურსის/მოდულის დასახელება	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება					
			სემესტრი					
			I	II	III	IV	V	VI
I. სასწავლო კომპონენტი 45 კრედიტი								
საუნივერსიტეტო ძირითადი კურსები/მოდულები - 26 კრედიტი								
1	სამეცნიერო კვლევის მეთოდოლოგია და ბიოსტატისტიკა	7	3	4				
2	უმაღლესი განათლების პედაგოგია და ფსიქოლოგია	5			5			
3	ბიოსამედიცინო მეცნიერებების ეთიკა	4	4					
4	პროფესიული სამედიცინო ინგლისური ენა	10	3	3	4			
საუნივერსიტეტო არჩევითი კურსები - 4 კრედიტი								
1	სამეცნიერო ნაშრომის შედგენის მეთოდოლოგია	2		2				
2	მტკიცებითი მედიცინა სამედიცინო პრაქტიკაში	2		2				

3	აკადემიური წერა ინგლისურ ენაზე	2			2			
	გერმანული ენა	2		2				
	ფრანგული ენა	2		2				
	რუსული ენა	2		2				
პროგრამული ძირითადი კურსი - 5 კრედიტი								
1	სამეცნიერო კვლევის მეთოდები ფარმაციაში	5	5					
პროგრამული არჩევითი კურსები - 10 კრედიტი								
1	თანამედროვე ტექნოლოგიები ფარმაციაში	10	10					
2	სამკურნალო ბუნებრივი რესურსები	10	10					
3	წამლისა და ქსენობიოტიკების ანალიზის სამეცნიერო ასპექტები	10	10					
4	წამლის პოლიტიკა	10	10					